„ჩინგუტი საქართველოა, სიმქმი ჩვენ ვართ ყველაო“

# ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი • №11-12 (9483-84) • 1-30 ივნისი • ფასი 1 ლარი

### მუნიციპალიტეტის მერიაში

## 26 მაისი - სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე აღინიშნა

ქვეყნის ეროვნული დღესასწაული, საქართველოს თავდაცვის ძალების ყველა ქვეით ბრიგადაში, საზეიმო ღონისძიებით აღნიშნა.

სენაკში, მეორე ქვეითი ბრიგადის ბაზაზე, სამხედრო მოსამსახურეებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა კახაბერ ტაბატაძემ, ბრიგადის მეთაურმა, პოლკოვნიკმა კობა გრიგოლიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, ალექსანდრე მოწერელიამ, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ, გრიგოლ ბაღათურიამ და მერის მოადგილემ, კახაბერ კუპრეიშვილმა მიულოცეს. ღონისძიების დაწყებამდე, მათ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. ბრიგადის მეთაურმა სამხედრო მოსამსახურეები უწყებრივი მედლებითა და სერტიფიკატებით დააჯილდოვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სენაკის მეორე ქვეით ბრიგადაში, სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების გამოფენით დასრულდა.

## მე-5 ბაგა-ბაღის მშენებლობა დაიწყო

ქალაქ სენაკში, ჯიხას ქუჩაზე მდებარე, გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული მე-5 ბაგა-ბაღის ამორტიზებული შენობის ადგილზე, ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღი აშენდება. სამშენებლო სამუშაოები, რომელსაც მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს, ინტენსიურად მიმდინარეობს.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით კეთილმოწყობილი, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი, 2 ჯგუფზე გათვლილი სააღმზრდელო დაწესებულება, 60-მდე აღსაზრდელს მოემსახურება.

## დასრულების ფაზაში

ქალაქ სენაკში, პროექტის „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის" ფარგლებში, ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე, საბავშვო ბაღ „ოცნების" რეაბილიტაციის პროცესი დასრულების ფაზაშია.

პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ორსართულიანი საბავშვო ბაღის შენობის გაფართოების, გადახურვის, სველი წერტილების, სააღმზრდელო ოთახების, საკონცერტო დარბაზის რეაბილიტაცია. ახალი სააღმზრდელო წლიდან, აღსაზრდელებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი მოემსახურება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ლევან კუპრეიშვილი, პირველ მოადგილესთან - გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილესთან - კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაცია ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორს, ვინსენტ დონტოსა და დასავლეთ საქართველოს სამხარეო მენეჯერს, მზევი ჯოჯუას შეხვდა.

დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ტერიტორიაზე მდებარე საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროექტს გერმანიის მთავრობა აფინანსებს და ლტოლვილთა დანიის საბჭო(DRC) ახორციელებს.

## ციფრული საინფორმაციო კამპანია „ევროპის დღეების" ფარგლებში

5 ივნისიდან, „ევროპის დღეები 2020"-ის ფარგლებში, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად, ციფრული საინფორმაციო კამპანია დაიწყო. ონლაინ სემინარში - „როგორ მიიღება ევროკავშირში გადაწყვეტილებები, რომლებიც მსოფლიოს უკეთესობისკენ ცვლიან", მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა, მერის მოადგილემ, კახაბერ კუპრეიშვილმა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, რამაზ კუპრეიშვილმა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, გივი მისაბიშვილმა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა, თეა გრიგოლიამ მიიღეს.

ონლაინ ლექცია-სემინარს კავკასიის სამართლის სკოლის დეკანი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, იოსებ ნანობაშვილი უძღვებოდა. ორი წელია, სენაკში, „ევროპის მემკვიდრეობის დღეები", საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებით აღინიშნება - იმართება ფლეშმობი, ეწყობა ევროპის კულტურული კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების სახელმწიფო დროშებისა და ევროპელი მწერლების წიგნების გამოფენები, კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობა - „ევროპის კლასიკური და თანამედროვე ხელოვნება - მუსიკა და მხატვრობა", საზეიმო კონცერტები - მუნიციპალურ ა(ა)იპებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

## სასურსათო პროდუქტების გაცემის მეხუთე ეტაპი

სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სექტორში, საკვები პროდუქტების გაცემის მეხუთე ეტაპი მიმდინარეობს. 52 457 ლარის ღირებულების სასურსათო პაკეტები ცხრა სახეობის არამალფუჭებადი პროდუქტისგან შედგება და მას მუნიციპალიტეტის 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღის 1 307 აღსაზრდელი მიიღებს. პროცესი სპეციალისტების რეკომენდაციებისა და უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით მიმდინარეობს. საკვები პროდუქტების გაცემის პროცესში მონაწილეობას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე, კახაბერ კუპრეიშვილი, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორთან, ალექსანდრე ჯანჯღავასთან, საბავშვო და ბაგა-ბაღების დირექციასთან ერთად ღებულობს. აღნიშნულ აქტივობას წინ უსწრებდა სკოლამდელი აღზრდის სექტორში განხორციელებული შემდეგი ღონისძიებები:

პანდემიასთან ბრძოლის პირობებში, სენაკის მუნიციპალიტეტის 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღში, სადეზინფექციო სამუშაოები ჩატარდა. ის არამალფუჭებადი პროდუქტები, რომლებიც მიმდინარე არდადეგების დროს საბავშვო და ბაგა-ბაღებში უნდა გამოყენებულიყო, სოციალურად დაუცველი 340 აღსაზრდელის ოჯახზე გადანაწილდა.

ასევე, საკვების ორი კვირის მარაგი სკოლამდელი სექტორის ყველა აღსაზრდელმა ოთხ ეტაპად მიიღო.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

**შეცდომის გასწორება**

**გაზეთ „კოლხეთის" 1-31 მაისის №9-10-ში რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზით გაზეთის ლოგოში გაიპარა უზუსტობა. ნაცვლად 2019 –ისა უნდა იყოს 2020 წელი.**

**მუნიციპალიტეტის მერიაში**
**(დასასრული)**

# სენაკი - ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდება

გაატარე ზაფხული ჩვენთან, ნოქალაქევსა და ბეთლემში... დაიმუხტე დადებითი ემოციებით, ისიამოვნე სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციებით, დატკბი უნიკალური ბუნებით, აღმოაჩინე და შეისწავლე ისტორიული ადგილები... მალე, სენაკის მუნიციპალიტეტი - ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდება სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილთან, მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტებთან - ბადრი ქუთელიასთან და მარინე კვარჭაიასთან ერთად, ნოქალაქევისა და ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულებში იმყოფებოდა, სადაც გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) წარმომადგენლებს - თინათინ ტყეშელაშვილს, ოთარ კონჯარიასა და გვანცა ირემაშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა პროექტის - ,,სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით" - განხორციელების ეტაპები, რაც ითვალისწინებს ნოქალაქევში, მდ. ტეხურის ხეობაში, რეკრეაციული ზონის განვითარებისთვის სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციების მოწყობას. ამ ეტაპზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, ყოფილი პიონერთა ბანაკის მიმდებარე ტერიტორიაზე, შემეცნებით-გასართობი ატრაქცია „თოკების პარკი" მოწყობილია. აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც ივლისის თვეში დასრულდება. პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) - ფაზა 2-ის ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

# ინფრასქტრუქტურული პროექტები

პანდემიასთან ბრძოლის პირობებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება.

ამ ეტაპზე, დასრულების ფაზაშია ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ტეხურის ხიდთან და ,,დედამოკას" თერმულ წყლებთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ღირებულება 338 865 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს შპს ,,მშენებელი" ახორციელებს. რეაბილიტირდა და კეთილმოეწყო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია და საკალანდარიშვილოს სასაფლაოს შიდა გზა. პროექტის ღირებულებაა 108 823 ლარი. ხორავას ქუჩაზე აქტიურად მიმდინარეობს ტროტუარის მოწყობის სამუშაოები. დასრულების ეტაპზეა სტალინის ქუჩაზე, მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, მონოლითური რკინა-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება 121 216 ლარს შეადგენს. აღნიშნულ სამუშაოებს შპს ,,კოლხიდა" აწარმოებს. რეაბილიტაცია უტარდება ისეთ გზებს, რომლებსაც ათწლეულების მანძილზე აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებია. ქუთაისის ქუჩაზე, ც.დადიანის ქუჩიდან თეკლათის დედათა მონასტრის მიმართულებით, წლების შემდეგ, პირველად, ხორციელდება გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ღირებულებაა 438 373 ლარი და სრულად 2021 წელს დასრულდება. ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულის სასირიოს უბანში, წყალსადენის სათაო ნაგებობის გასწვრივ, მოეწყო ასფალტის საფარი. პროექტის ღირებულება 287 973 ლარს შედგენს და 2021 წელს დასრულდება. ასევე, წლების შემდეგ, პირველად რეაბილიტირდება და კეთილმოეწყობა - შონიას ქუჩა - ღირებულებით, 210 561 ლარი. პროექტი 2021 წელს დასრულდება. არჩაიას ქუჩა - ღირებულებით, 54 842 ლარი ასათიანის ქუჩის განშტოება — ღირებულებით, 170 920 ლარი ჩხეტიას ქუჩის პირველი ჩიხი - ღირებულებით, 82 681 ლარი ქუთაისის ქუჩის მეორე შესახვევი - ღირებულებით, 176 807 ლარი სილოვან შამათავას ქუჩის ჩიხი - ღირებულებით, 190 840 ლარი. პროექტი 2021 წელს დასრულდება. აღნიშნულ სამუშაოებს სს ,,არქეოპოლისი" ახორციელებს. ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბათარიაში მიმდინარეობს. სამუშაოებს, ღირებულებით 134 643 ლარი, სს ,,არქეოპოლისი" ახორციელებს.

# ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე რიონზე

სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის წინაშე მდგარი, ათწლეულების მანძილზე არსებული, მდინარე რიონზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების მწვავე პრობლემა, მოგვარდა. ნაპირსამაგრი სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო ცაგურია გაეცნენ.

სამუშაოებს, რომლის ღირებულება 667 052 ლარს შეადგენს, შპს „საქუოია" ახორციელებს. წლების განმავლობაში, უხვი ნალექის დროს, მდინარე მოსახლეობას მუდმივ საფრთხეს უქმნიდა, აზიანებდა საკარმიდამო ნაკვეთებს. ადიდებულმა მდინარემ, არაერთხელ, დააზიანა ბორანი, რის შედეგადაც, გარესამყაროს 14 ოჯახი მოწყდა.

ნაპირსამაგარი სამუშაოებისა და ამორტიზირებული ბორნის ახლით შეცვლის პარალელურად, დაგეგმილია, ბორნისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომლის სავარაუდო ღირებულება 635 000 ლარს შედგენს. ელექტრონული ტენდერი უკვე გამოცხადდა.

# მდინარე ტეხურზე

სენაკის მუნიციპალიტეტში, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ამჯერად, სენაკის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემა მოგვარდა - მდინარე ტეხურზე, ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა.

სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 450 000 ლარი შეადგენა, კომპანია ,,როუდ ქონსთრაქშენმა" შეასრულა. ამ ეტაპზე, ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე ტეხურის მეორე ლოკაციაზე მიმდინარეობს.

პროექტს, ღრებულებით 250 000 ლარი, შპს ,,საგზაო" ახორციელებს.

შესრულებულ და მიმდინარე სამუშაოებს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე, კახაბერ კუპრეიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ვახტანგ ფაცაცია, მერის წამომადგენელი ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, რიმა ბოჯგუა, კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, გაეცნენ.

წლების განმავლობაში, უხვი ნალექის დროს, მდინარე მოსახლეობას მუდმივ საფრთხეს უქმნიდა.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით, დატბორვის საშიშროება მოიხსნა.

# ერთად ვაკეთოთ სიკეთე...

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, სენაკელმა ბიზნესმენმა ლაშა ახალაიამ, ხოფერიას ქუჩაზე მცხოვრებ ხანძრისგან დაზარალებულ სამი შვილის დედას, ნათია მიქაძეს, საყოფაცხოვრებო ტექნიკა - მაცივარი გადასცეს, რომელიც, ოჯახს, ბიზმესმენმა ლაშა ახალაიამ შეუძინა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, ,,ხანძრით დაზარალებულთა პროგრამის" ფარგლებში, ოჯახს ფულადი დახმარება გაუწია. ასევე, სოციალური აქტივობის კუთხით, მათ, სასურსათო პროდუქტები გადასცა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღევანდელი ქველმოქმედება, ბათუმში მოღვაწე ბიზნესმენისთვის, პირველი არ არის. ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, მერიის მიერ გაცემული სოციალური დახმარებების პარალელურად, მისი დაფინანსებით, 40 შეჭირვებულ ოჯახზე გაიცა სასურსათო პაკეტები. ასევე, ქველმოქმედის დაფინანსებით, 210 სოციალურად დაუცველი მოქალაქე, 14 თვის მანძილზე ღებულობდა ფულად დახმარებას.

**მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება**

## წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის სკოლა-გიმნაზიაში

# მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო

**თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მრავალფეროვანი საგაკვეთილო მიდგომები, პროფესიონალი პედაგოგები და წარმატებული მოსწავლეები. სწორედ ამ ყველაფრით ამაყობს სენაკის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია. რომლის დირექტორი ქალბატონი ნინო ჯანჯღავა გვესაუბრა სკოლის წარმატებებსა და აქტივობებზე.**

**ქალბატონო ნინო, დასრულდა 2019-2020 სასწავლო წელი, სხვა ყველა სასწავლო წლისგან გამორჩეული, თქვენ როგორც სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს.**

ყველასთვის მოულოდნელი იყო ის მოვლენები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში და ზოგადად, მსოფლიოში განვითარდა. პანდემიამ შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი, მოხდა ღირებულებების გადაფასება. ჩვენთვის პრიორიტეტი ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და მათი ჯანმრთელობა. სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ვირუსთან თანაცხოვრება და შევძლოთ მისი მართვა. 16 მარტიდან სკოლა-გიმნაზია გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე და ამ რეჟიმშივე დავასრულეთ მიმდინარე სასწავლო წელი. დიდ იმედს ვიტოვებ, რომ სექტემბრიდან საკლასო ოთახებს დავუბრუნდებით, თუმცა მოგვიწევს იმ რეგულაციების შესრულება, რომელსაც საქართველოს მთავრობა შემოგვთავაზებს.

**პანდემიის შედეგად განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევა დაძლეულ იქნა დისტანციური სწავლებით, როგორ მიმდინარეობდა მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიაში დისტანციური სწავლება (რა სირთულეები და პრობლემები გამოიკვეთა).**

დისტანციური სწავლება, როგორც საკლასო სწავლების ალტერნატივა, სწავლების პარალელურად, ბევრ ქვეყანაში პანდემიამდეც იყო დანერგილი, მათ შორის საქართველოშიც მოქმედებს „დისტანციური სწავლების პროგრამა", თუმცა ჩვენთვის და ალბად ბევრისთვის ეს სიახლე და გამოწვევა აღმოჩნდა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2 მარტიდან, ჩვენი ძულებით მოგვიწია არდადეგებზე გასვლამ, რადგან ჩვენი სამუშაო კალენდარი არდადეგებს არ ითვალისწინებდა. მაშინ ვფიქრობდით, რომ ეს მოკლევადიანი შესვენება იქნებოდა, თუმცა მალევე გაირკვა, რომ საქმე პანდემიასთან გვქონდა და სასწავლო პროცესის განახლება ისევ გადაიდო. გაურკვევლობაში დარჩენას ვამჯობინეთ გვემოქმედა. შევიკრიბეთ პედაგოგიური საბჭო და მივიღეთ დისტანციურ სწავლებზე გადასვლის გადაწყვეტილება. პირველ რიგში საჭირო იყო მშობლების ინფორმირება. მათთან კომუნიკაციის შედეგად დავადგინეთ რამდენად იყვნენ ისინი მზად ამ გამოწვევის დასაძლევად, რადგან მათი მხარდაჭერა აუცილებელი იყო- დისტანციური სწავლების განსახორციელებლად, ონლაინ გაკვეთილების ჩასატარებლად, ბავშვებს უნდა ჰქონოდათ ინტერნეტში ჩართული ტექნიკური საშუალებები. მინდა მადლიერება გამოვხატო ჩვენი

მშობლების მიმართ, მათ არ დაიშურეს ძალ-ღონე, ყველანაირი პირობა შეუქმნეს თავიანთ შვილებს, რათა დისტანციური სწავლება არ შეფერხებულიყო. რაც შეეხება პედაგოგებს, ისინი ადვილად მოერგნენ სიტუაციას, მალევე შეძლეს სასწავლო პროცესის მოდიფიცირება, თანაც ყველანი ძალიან კარგად ფლობენ ტექნიკურ უნარებს, რომელიც დისტანციური სწავლების აუცილებელი კომპონენტია. ყოველივე ეს გახდა იმის საწინდარი, რომ სკოლა-გიმნაზიაში შეუფერხებლად მიმდინარეობდა ონლაინ გაკვეთილები. მიუხედავად ამისა, ექსპერტების აზრით დისტანციურ სწავლებას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც ჩვენს პრაქტიკაშიც გამოიკვეთა. დადებითი მხარეებიდან გამოვყოფდი:

* მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო
*ნაკლები მატერიალური რესურსი
*მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენების შესაძლებლობა
*ეფექტური ინდივიდუალური უკუ კავშირის მიწოდება
*შეუზღუდავი გეოგრაფიული არეალი

თუმცა დასაფიქრებელია დისტანციური სწავლების უარყოფითი მხარეები. საჭიროა მათი გაანალიზება, რათა შემდგომში შევძლოთ მათი დაძლევა.

*მოითხოვს მაღალი სიჩქარის ინტერნეტის შეუფერხებელ მიწოდებას
*შეზღუდულია ზოგიერთი დისციპლინების სწავლება
*იწვევს მოსწავლეთა კომუნიკაციის ნაკლებ განვითარებას
*შეიძლება გამოიწვიოს სოციალური იზოლაცია

და ბოლოს თუ შევაჯამებთ, შემიძლია ვთქვა, რომ მობილიზების, თვით განვითარების, მოტივაციის, დიდი შრომის, მშობლებთან სწორი და მუდმივი კომუნიკაციისა და ჩართულობის შედეგად, დისტანციური სწავლების გამოწვევები დავძლიეთ.

**ქალბატონო ნინო, მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია მაღალი რეიტინგით სარგებლობს საგანმანათლებლო სივრცეში, თქვენი აზრით რა განაპირობებს სკოლის მაღალ რეიტინგს.**

სკოლა-გიმნაზიას რომ მაღალი ცნობადობა და რეიტინგი აქვს როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე საზოგადოებაში, ამას ნამდვილად ვგრძნობთ, რადგან ყოველწლიურად პირველ კლასში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი გაცილებით აღემატება ჩვენს ლიმიტს და სამწუხაროდ გვიწევს უარის თქმა. წარმატებას კი განაპირობებს პირველ რიგში, განათლების მაღალი ხარისხი, როგორც ფორმალური ისე არაფორმალური, კვალიფიციური კადრები და უსაფრთხო, დაცული და მზრუნველი გარემო, რომელსაც უქმნის სკოლა-გიმნაზია თავის

მოსწავლეებს. აქვე მინდა დავამატო ჩვენი პედაგოგების მუდმივი სწრაფვა თვითგანვითარების, სიახლეებისა და ინოვაციებისადმი. ყოველივე ამას კი, ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ უფალი საჭირო დროს მოგვივლენს ისეთ ადამიანებს, რომლებიც სწორი ხედვისა და პრიორიტეტების დალაგებაში გვეხმარებიან. განსაკუთრებული პატივისცემით გამოვყოფდი ჩვენი მრჩეველთა საბჭოს წევრს, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორს, ქალბატონ თამარ მეიფარიანსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორს, ვირტუალური მოდელირების ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ დავით სონღულაშვილს.

**პანდემიის დაწყებამდე თქვენი სკოლა აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, გთხოვთ მოკლედ გვესაუბროთ იმ აქტივობებზე, რაც სკოლაში განხორციელდა სამი წლის მანძილზე.**

გამიჭირდება ჩამოვთვალო ყველა ის აქტივობა, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა სკოლა-გიმნაზიაში, ამიტომ ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენაზე. როგორც აღვნიშნე, ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ არაფორმალურ განათლებას, გვყავს პარტნიორი ორგანიზაციები- „განათლებისა და მართვის გუნდი" და „proaqtiv jgufi jorjia", რომლებთან თანმშრომლობით ჩვენი მოსწავლეები და მასწავლებლები ყოველ წლიურად ღებულობენ მონაწილეობას გაცვლით პროგრამებსა და ტრენინგებში. „ერასმუსის" პროგრამით სხვადასხვა დროს, ისინი იმყოფებოდნენ უნგრეთში, ბულგარეთში, საბერძნეთში, სომხეთში, უკრაინაში, მოლდოვასა და ფინეთში. სკოლა-გიმნაზიაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი-ეკოკლუბი „CO-R", ნიკო კეცხოველის სასკოლო კონკურსის ფინალისტი (მეორეადგილი), რომლის ანგარიშზე ბევრი საინტერესო გარემოს დაცვითი პროექტი და ღონისძიებაა. ასევე ინგლისურენოვანი ლიტერატურული კლუბი -ორგანიზაცია „nglish Boock Education" თანამშრომლობით, სადაც ჩვენი მოსწავლეები იღრმავებენ ინგლისური ენის საკომუნიკაციო უნარებს და შედეგად ისინი შესანიშნავად საუბრობენ უცხო ენაზე.და ბოლოს ჩვენი სახელგანთქმული STEM ჯგუფი, რომლის ანგარიშზე ბევრი გამარჯვება და ჯილდოა. ამ ჯგუფის გამარჯვებული წევრები სხვადასხვა წლებში იმყოფებოდნენ აშშ-სა და ბელგიაში.

**ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე იგეგმება თუ არა სწავლის საფასურის გაზრდა?**

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შევეხო ყბადაღებულ თემას, სახელმწიფოს მხრიდან საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ და ჩვენი სკოლა-გიმნაზიის მაგალითზე გაჩვენოთ, თუ სად და რისთვის იხარჯება ეს თანხა. თქვენ ხედებით, რომ მრავალფეროვანი სერვისების მიწოდება მოსწავლეებისათვის, ასევე იმ კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რომელსაც სკოლა-გიმნაზია სთავაზობს თავის მოსწავლეებს, რეალურად უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მშობელი იხდის. ასევე სკოლა-გიმნაზიის პედაგოგები იღებენ სახელმწიფო სტანდარტთან გათანაბრებულ ანაზღაურებას, საშვებულებოს ჩათვლით. სწორედ ამ დანაკლისს გვიფინანსებს საპატრიარქო სუბსიდირების სახით და ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა. მიუხედავად ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში განვითარებული მოვლენებისა, რომელმაც გამოიწვია ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნა, სკოლა-გიმნაზიაში 2020-21 სასწავლო წელს სწავლის საფასურის გაზრდა არ იგეგმება.

**როგორია სკოლაში დასაქმებული პედაგოგების კვალიფიკაცია. გთხოვთ გვესაუბროთ იმ პედაგოგებზე, რომლებმაც სკოლას გაუთქვეს სახელი?**

სკოლა-გიმნაზიაში ამჟამად დასაქმებულია 60 პედაგოგი, მათგან 47 უფროსი მასწავლებელია, 3 წამყვანი. რომ არა პანდემიით გამოწვეული შეფერხებები, სასწავლო წლის ბოლოს 10 წამყვანი გვეყოლებოდა. მართალია, ჩვენი კოლექტივი ახალგაზრდულია, მაგრამ გვყავს არა თუ რაიონში, არამედ საქვეყნოდ ცნობილი მასწავლებლები. მგონი, უტა კილასონიას წარდგენა არ სჭირდება, რომელიც არის მასწავლებლის ეროვნული ჯილდო- 2017 ფინალისტი, თუმცა დავამატებ რომ 2019 წელს უტა გახდა ისტ საუკეთესო მასწავლებელი და სკოლა-გიმნაზიის კოლექტივმა მისი კანდიდატურა წარადგინა ვადამდე, მენტორის სატატუსის მისაღებად. თამარ ყალიჩავა გახლავთ ინგლისური ენის მასწავლებელი, რომელიც ასევე 2019 წელს გახდა საუკეთესო ინგლისურის მასწავლებლის კონკურსის ფინალისტი, ხუთეულის წევრი და ბოლოს, 15 ივნისს, ცნობილი გახდა მასწავლებლის ეროვნული ჯილდო - 2020 ფინალური ათეული, რომელთა შორის დამსახურებული ადგილი დაიკავა ჩვენი სკოლა-გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელმა ნათია დავითაიამ. ფინალი ტრადიციულად გაიმართება 5 ოქტომბერს, ველით უფრო დიდ წარმატებას. მგონი, ერთი სკოლისთვის, რომელსაც მხოლოდ ათწლიანი ისტორია აქვს, ცუდი შედეგი არ არის.

**ქალბატონო ნინო, რა სიახლეებს გეგმავს გიმნაზია ახალი სასწავლო წლიდან.**

თუ რა სიახლეებს გეგმავს სკოლა-გიმნაზია ახალი სასწავლო წლიდან, ამის თქმა ცოტა გამიჭირდება, რადგან გამომდინარე არსებული ვითარებიდან გრძელვადიანი პროგნოზის გაკეთება შეუძლებლად მიმაჩნია. თუმცა მაინც გეტყვით - 2020 წლის სექტემბერში სკოლა-გიმნაზიას 10 წლის იუბილე აქვს და ჩვენი პირველი მერცხლები დაამთავრებენ სკოლას. ამ თარიღთან დაკავშირებით ვგეგმავდით მრავალფეროვან საგანმანათლებლო ღონისძიებებს - ისტორიის ფესტივალს, კონფერენციებს როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვისაც, სხვადასხვა შემეცნებით და ინტელექტუალურ თამაშებს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ღვთის შეწევნით, თუ მშვიდობა იქნება ქვეყანაში, პირობას გაძლევთ თქვენ იქნებით პირველები, ვისაც ამის შესახებ მოვუყვეები.

მადლობას გიხდით, რომ დაინტერესდით ჩვენი საქმიანობით. სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეები და მასწავლებლები კიდევ არა ერთხელ ასახელებენ როგორც სენაკს, ასევე საქართველოს.

გისურვებთ ჯანმრთელობას. გფარავდეთ უფალი და შეგეწიოთ ღირსი ალექსი სენაკელი.

**რედაქცია კიდევ უფრო დიდ წარმატებას უსურვებს წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ამ სასწავლო დაწესებულების დირექტორს ქალბატონ ნინო ჯანჯღავას კი ჯანმრთელობასა და პროფესიულ წინსვლას.**

**მოამზადა**
**მარიკა მიქაბერიძემ**

# ულოცავენ!

## წლები-სიმდიდრეა

### მადლიერების გრძნობით

*სენაკის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პიროვნებას, ქველმოქმედს, მეცნიერს, პროფესორს, ბიზნესმენს დემურ გადელიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, ის იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც ყველაზე ახლოს მიაქვს ადამიანების გაჭირვება გულთან და უშურველად ეხმარება მათ, მისთვის სულერთია პენსიონერია იგი თუ მოსამსახურე, ობოლია თუ შეჭირვებული, ახალგაზრდა თუ ხანდაზმული, ბავშვია თუ მოზარდი, ყველას მიმართ ერთნაირ მზრუნველობას და სიყვარულს ამჟღავნებს. დავკონკრეტდები და ერთ პატარა მაგალითს მოვიყვან. როცა №7 საჯარო სკოლა ვხელმძღვანელობდი 90-იანი წლები იყო, ქვეყანას უჭირდა, სწორედ ასეთ დროს გაგვიწოდა დახმარების ხელი და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შეუფერხებლად წარმართვის საშუალება მოგვეცა. ამის დავიწყება უმადურობა იქნებოდა. მინდა მისდამი მადლიერება ჩემი საკუთარი ლექსით გამოვხატო.*

**იუბილარს**

საათის ისრებით დრო იმარცვლება,
სწრაფად იწყება თვლები,
თურმე ოთხმოცის გამხდარხარ,
აღარ გეტყობა წლები.
ხარ წოდებული სენაკის მამად,
და ხალხის გულის მპყრობელი,
მადლიერების ხმა ისმის,
ირგვლივ ადგილზე მცხოვრებლის.
მრავალშვილიან ოჯახში,
ღირსებად დაბადებული
ქველმოქმედების სიკეთე,
გენშია ჩაბუდებული.
მრავალჯერ ხალხის რჩეული,
ცნობილი პარლამენტარი,
თავმდაბალი და მზრუნველი,
და არა ამპარტავანი.
დაუღლელი შრომაში,
საქმისთვის თავდადებული,
არქეოპოლისის მფლობელი,
და მისი გადამრჩენელი.
სიმაღლეებზე ასული,
ჩაუქრობელი ლამპარი,
მეცნიერული გათვლებით
ხალხისთვის დიდი ზღაპარი.
უყვარხარ სენაკელებს,
და აქვთ თქვენდამი ნდობა,
მათი გაშლილი ხელები,
გეფიცებიან ძმობას.
მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე,
უბერებელო მუხა,
აბა ვის უნდა უკვირდეს
ხალხს რომ უყვარდე მუდამ.

**ლამარა გეგენავა**

## დემურ გადელიას!

### ჩემს უსაყვარლეს, საიმედო, ძმადმიღებულ პიროვნებას

დიდი ხანია შენს დიდ საქმეს ხალხი აფასებს,
ქვეყნის გამრიგე სიკეთის მქნელს მუდამ ფარავდა,
წყლულზე მალამოდ მოევლინე მართლაც ათასებს
და მათ დიდ შემწედ, მათ იმედად ღმერთმა დაგბადა.
დააგე გზები, აღადგინე ციხე-ტაძრები,
მოაჩუქურთმე დანგრეული და დაამშვენე,
ყველაზე მეტი, დამთანხმდება ალბათ გამგები
ხალხის გულისკენ მიმავალი გზები აშენე.
სიყვარულის და სიკეთის კვალს ყველგან მიაგნებ
ჯიშით, ჯილაგით, ქმნა მადლისა მუდამ მოგძახის,
აღმართულია დიდი ძმობის ციხე-სიმაგრე
და მეციხოვნედ დგახარ დემურ შენი ოჯახით.

**უდიდესი პატივისცემით**
**დამირ კუჭავა,**
**სენაკის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენოსანი,**
**პოლიციის პოლკოვნიკი**

**დ. კუჭავას არქივიდან**

# გილოცავთ!

**„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“. (მათე)**

დიდკაცობას კარგი კაცობა, კარგ კაცობას კარგი მამულიშვილობა სჯობიაო“ უთქვამს სასიქადულო ქართველს გიორგი სააკაძეს.

ზემოთხსენებული გამონათქვამი გამახსენდა ამ წერილის ადრესატზე, 80 წლის იუბილარზე, ბ-ნ დემურ გადელიაზე სტატიის წერისას.

დღეს, როდესაც გლობალიზაციის მორევი ჩათრევას თუ ჩაყლაპვას გვიპირებს, შესაძლოა ჩვენი ეროვნულობაც თან გაიყოლოს.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ შემოგრჩნენ მამულიშვილები, რომლებიც რეალურად მოქმედებენ უხსოვარი დროიდან მომდინარე ქართული სახელმწიფოებრიობის სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა წარმოსაჩენად.

ბ-ნი დემურის ცხოვრება მაგალითია მაღალი ზნეობის, კაცურ-კაცობის, მამულიშვილობისა.

80 წელი! წლები შრომისა, ძიებისა და შენებისა, მისი უმთავრესი თვისებები გახლავთ გვერდი დგომა სხვა ადამიანების ლხინსა და ჭირში, შრომასა და წინსვლაში.

დაუოკებელი მიზანსწრაფულობის და შრომისმოყვარეობის მაგალითია 40 წლის წინათ მდინარე ტეხურის პირას, თქვენს მიერ დაფუძნებული საწარმო, რომელიც დღეს არქეოპოლისის“ სახელს ატარებს.

ბატონო დემურ! თქვენ საქვეყნო საქმისთვის ხართ გაჩენილი, ამაზე მეტყველებს ახალი ტექნოლოგიით აშენებული თუ მშენებარე ობიექტები, კეთილმოწყობილი გზები და ხიდები. საქმე, რომელსაც თქვენ უძღვებით საშვილიშვილოა, ვინაიდან ის ყველას სჭირდება, რადგან ამ გზით საქართველოს გაძლიერებისკენ მივდივართ.

ჩვენს ქვეყანას თქვენისთანები სჭირდება.

უღრმესი პატივისცემით და დიდი სიყვარულით გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსეულად განვლილი 80 წლის იუბილეს.

100 წლის იუბილეც მოელოცოს თქვენთვის სენაკელებს!

**მერი გვასალია, პედაგოგი,**
**იაკობ გოგებაშვილის სახელობის**
**პრემიის ლაურეატი**

# ონლაინ ჩვენებები მუზეუმების საქმიანობაზე

მუზეუმების საერთაშორისო დღეს მთელს საქართველოში მიეძღვნა კვირეული., რომლის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სახის აქტივობები.

რადგან კორონა ვირუსის პანდემიის გამო შეუძლებელი გახდა მოსახლეობის მონაწილეობით ღონისძიებების ჩატარება. გადაწყდა, რომ ონლაინ მოწყობილიყო სხვადასხვა სახის ჩვენებები და საუბრები მუზეუმების საქმიანობის შესახებ.

სენაკის ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა ონლაინ მოაწყვეს ჩვენებები და საუბრები მუზეუმში არსებული ექსპონატებისა და რაიონის ისტორიული წარსულის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას მოღვაწეობის წარმოჩენას.

მუზეუმების კვირეულის ფარგლებში. 11 მაისს. თემაზე – „მუზეუმი და ჩვენი ქალაქი“ ისაუბრა მხარეთმცოდნეობის

მუზეუმის სპეციალისტმა, დამირ კუჭავამ. 13 მაისს თემაზე – „მუზეუმი და ისტორია“, ვალერიან გუნიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიხედვით, ისაუბრა ბორის დავითაიამ. 16 მაისს, თემაზე - „ჟიული შარტავა თაობათა ღირსეული მაგალითი ” ისაუბრა ჟ. შარტავას მუზეუმის სპეციალისტმა მარინე აბრამიამ.

აღნიშნული ონლაინ საუბრები კულტურის სამინისტროს მითითებით გამოქვეყნდა სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სოციალურ გვერდზე. მუზეუმის თანამშრომლები დახმარებისა და აქტიური თანადგომისთვის მადლობას უხდიან კულტურის ცენტრის დირექტორს,ლევან უჩანეიშვილს.

ასევე აღსანიშნავია, რომ სექტემბერში ოცდაათი წელი უსრულდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. მისასალმებელია, რომ რაიონის მერიამ და საკრებულომ გადაწყვიტეს მუზეუმის შენობას ჩაუტარდეს მაშტაბური რემონტი, რომლისთვისაც მერია ხარჯავს 100 ათას ლარს. სამუშაოები უკვე დაწყებულია. კოლექტივის სახელით მადლობა მერს, ბატონ ლევან კუპრეიშვილსა და მის მოადგილეებს. ბატონ გრიგოლ ბაღათურიასა და ბატონ კახაბერ კუპრეიშვილს.

მუზეუმის თანამშრომლები კვლავაც მონდომებით შეასრულებენ თავიან პროფესიულ მოვალეობას. მოსახლობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას გააცნობენ ჩვენი წარსული დიდებისა და სხვადასხვა სფეროში მიღწეულ წარმატებებს.

**ბორის დავითაია,**
**სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის**
**სპეციალისტი**

# სკოლამდელი აღზრდა უმნიშვნელოვანესი ეტაპი ბავშვის ჩამოყალიბებაში

**სკოლამდელი განათლება უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში. სკოლისთვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს.**

**ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში და მათ შორის №6 ბაგა-ბაღშიც დისტანციური სწავლება მიმდინარეობდა.**

**თუ როგორ წარიმართა ახალი ტიპის სწავლების პროცესი ბაგა-ბაღში და იქ არსებული სიახლეების შესახებ გვესაუბრა სენაკის სკოლამდელი დაწესებულების №6 ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო კორშია.**

**ქალბატონო ნინო, პანდემიამ შეცვალა რეალობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, როგორ შეხვდა №6 ბაგა-ბაღის პედაგოგიური კოლექტივი ამ რეალობას?**

გეთანხმებით პანდემიამ მართლაც რომ შეცვალა რეალობა არა მარტო ბაგა ბაღებში, არამედ მთელს მსოფლიოში. მიუხედავად შეცვლილი რეალობისა ჩვენი პედაგოგები დისტანციურად ატარებენ აქტივობებს მშობელთა თანამონაწილეობით. მოგეხსენებათ პატარებთან რთულია მუშაობა დისტანციურ რეჟიმში, თუმცა ეს შეძლეს ჩვენმა აღმზრდელებმა, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ. (აქტივობები შეგიძლიათ იხილოთ ბაგა-ბაღის გვერდზე).

**მიმდინარე წელს გამოსაშვებ ჯგუფებში ვერ ჩატარდა ზეიმები. კეთდება თუ არა სამახსოვრო ფოტო ალბომები.**

სამწუხაროდ სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსაზრდელები წელს ვერ იზეიმებენ ბაღის დამთავრებას, მაგრამ ჩვენ შევძელით მათთვის გაგვეკეთებინა სამახსოვრო საჩუქრები.

მოვაწყვეთ ღია სივრცეში ფოტოსესია. დავამზადებინეთ ალბომები. გადავეცით პორტფელიოები, სადაც თითოეული აღსაზრდელის მთელი წლის ნამუშევარი არის აკინძული.

ტრადიციულად სიურპრიზს ამზადებს სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება და სასკოლო მზაობის ჯგუფის აღსზრდელებს გადასცემს სამახსოვრო საჩუქრებს.

**როგორია ბაღის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხომ არ იგეგმება ახალი სასწავლო წლისთვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება?**

ჩვენი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა სავსებით აკმაყოფილებს ბაღის სტანდარტებს. გასულ წელს ჩვენს ბაგა-ბაღს ჩაუტარდა გარკვეული ტიპის სარემონტო სამუშაოები. გარემონტდა სამზარეულო და სველი წერტილები. ახალი სასწავლო წლიდან კი ბაღს ექნება საძინებელი ოთახი, რომელიც დამეთანხმებით ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი პატარებისთვის.

**როგორ შეაფასებთ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სპეციალისტების მეთოდურ დახმარებას. როგორ თანამშრომლობთ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებასთან?**

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გაერთიანების მეთოდკაბინეტი თავდაუზოგავად მუშაობს და გვაწვდის ახალ სააღმზრდელო ინფორმაციებს.

**როგორ არის დაცული ბაღში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. გეგმავთ თუ არა ახალი სასწავლო წლიდან ინვენტარის განახლებას და რა შეგიძლიათ გვითხრათ სამომავლო გეგმების შესახებ.**

ბაღში ზედმიწევნით დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ამას მოწმობს არაერთხელ შემოსული სურსათის სააგენტო და სენაკის ჯანდაცვის სამსახური.

რა თქმა უნდა მომავალში იგეგმება ინვენტარის განახლებაც. ველოდებით ახალ საწოლებს, საბავშვო კარადებს და სხვადასხვა საჭირო ავეჯს. ჯერ-ჯერობით ზუსტად ვერ გეტყვით კიდევ რითი გაგვახარებს სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება.

**ქალბატონო ნინო თქვენ, როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელი, რას ისურვებდით ახალ სასწავლო წელს?**

პირველ რიგში სრულიად მსოფლიოს მინდა ვუსურვო ჯანმრთელობა და მშვიდობა.

მინდა ჩვეულ რეჟიმში მივიღო აღსაზრდელები და განახლებული გარემოთი და სასწავლო სტანდარტების დაცვით შევუდგე მუშაობას.

ვისურვებ გვქონოდეს შესაძლებლობა, გავახაროთ პატარები და ერთად ვიზეიმოთ შემოდგომის, ახალი წლის, გაზაფხულისა და ზაფხულის დღესასწაულები.

**წარმატებებს ვუსურვებთ №6 ბაგა-ბაღს და მის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინოს კი ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და რაც მთავარია ჩვეულ რეჟიმში სასწავლო პროცესის დაწყებას.**

**მარიკა შამათავა**

# შრომა საინტერესო და სახალისო უნდა იყოს

*ბევრ ქალს აქვს ჰობი, რომელიც ხელსაქმეს უკავშირდება. ზოგს ქარგვა უყვარს, ზოგს ქსოვა, ზოგს კერვა, ზოგს კი თიხასთან და კერამიკასთან ურთიერთობა მოსწონს და ა.შ. ხშირად ეს ქალბატონები ქმნიან საოცარ ნივთებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებას გვილამაზებენ. ამ სტატიაში მოგიყვებით ახალგაზრდა ქალბატონზე, თინათინ კვირტიაზე, რომლის მიერ შექმნილი თიხის ნაკეთობები: სუვენირები, სამკაულები, ჭურჭელი არავის დაგტოვებთ გულგრილს.*

*თინათინმა დაამთავრა სენაკის № 7 საჯარო სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ფანასკერტელის სამედიცინო ცენტრში. პროფესიით ფარმაცევტული წარმოების ფართო სპეციალისტია. მუშაობდა თბილისის ფარმაცევტულ კომპანია „ნეოფარმში". ჰყავს მეუღლე, რომელიც მუშაობს ბანკ „კრედოში" და ორი შვილი: 6 წლის სანდრო და 4 წლის ლიზა. სანდრო წელს სკოლაში მიდის.*

**თქვენს მიერ შექმნილი ნამუშევრები საკმაოდ მრავალფეროვანია: სამკაულები, გულსაკიდები, ბროშები, თმის სამაგრები, სუვენირები, დეკორატიული ნივთები, ლამაზად გაფორმებული ჭურჭელი. როდის დაინტერესდი ხელსაქმით?**

ხელსაქმის მიმართ ინტერესი ბავშვობიდან მქონდა, ბავშვობაში ვაკეთებდი პატარ-პატარა ნივთებს სხვადასხვა მასალისაგან, 2 წლის წინ სერიოზულად დავინტერესდი პოლიმერული თიხით. აღმოვაჩინე, რომ თიხისგან შექმნილი ნამუშევრები გაცილებით ლამაზი და დახვეწილია. პოლიმერული თიხა არის ძალიან მყარი, არ ზიანდება ადვილად და რაც მთავარია, არ იცვლის ფერს.

ძირითადად ვიყენებ გერმანულ თიხას. ჯერ თიხას ვამზადებ სამუშაოდ, შემდეგ ვარჩევ ფერებს, როცა სასურველ ფერს დავაყენებ, ვძერწავ ფიგურებს, შემდეგ ვუკეთებ ფიქსაციას, რის შემდეგადაც ხდება ნაკეთობის გამოწვა გარკვეულ ტემპერატურაზე გარკვეული დროით. მაქვს სპეციალური წებოები, რომელსაც ვიყენებ პატარა დეტალების დასამაგრებლად. თუ პოლიმერული თიხისგან დამზადებული ნაკეთობა დაზიანდა ნიშნავს, რომ გამოწვის დრო იყო ნაკლები, ანუ კარგად არ გამოიწვა.

**სუვენირებისა და სამკაულის გარდა რა ნივთებს ქმნით?**

თავიდან ვაკეთებდი აქსესუარებს, თმის სამაგრებს. საყურეებს, ყელსაბამებს.

შემდეგ შევქმენი სოციალური ქსელი, სადაც განვათავსე ჩემი ნამუშევრები. ბევრმა ადამიანმა გაიგო ჩემს შესახებ და მოიწონა ჩემი ნამუშევრები, რაც ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა.

ნივთებს ვამზადებ შეკვეთითაც, ეს იქნება ფოტოების ჩარჩოები, ტრენდულია პოლიმერული თიხით გაფორმებული, ლამაზი ჭიქები, მულტფილმის გმირები, ყვავილები, ბრელოკები, კედლის დეკორაციები, სუვენირები, საახალწლო აქსესუარები, სახელობით ნივთები საყვარელი გმირების გამოსახულებებით, და სხვა.

თიხაზე მუშაობა იმდენად სასიამოვნო და საინტერესო პროცესია, რომ არ შეიძლება დაიღალო, ან მოგბეზრდეს. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, თითოეულ ნივთს, თითოეულ აქსესუარს დიდი ინტერესით და ენთუზიაზმით ვამზადებ.

**თუ გაქვთ ნივთი, რომელსაც არასოდეს არ გაყიდით, ან არ გააჩუქებთ?**

ასეთი ნივთი არ მაქვს. მეგობრებისთვის სპეციალურად განსხვავებულ ნივთებს ვაკეთებ. როცა ჩემს მიერ შექმნილ ამა

თუ იმ ნივთს ჩემთვის საყვარელ და ახლობელ ადამიანებს ვჩუქნი, ჩემთვის დიდი სიხარული და ბედნიერებაა.

**ორი შვილის დედა როგორ ახერხებ ოჯახის საქმეებსაც გაუმკლავდე, ბავშვებსაც მოუარო, თან საყვარელი სამე აკეთო?**

ჩემი „სამუშაო დრო" ძირითადად მოიცავს იმ პერიოდს, როცა ბავშვები ბაღში არიან. პანდემიამ ხელი „შემიშალა", რადგან ბავშვები სახლში არიან და ისეთი დატვირთვით ვერ ვმუშაობ, როგორც ადრე.

**ალბათ ბევრი ნამუშევარი დაგიგროვდა, გამოფენის მოწყობაზე არ გიფიქრია?**

რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ვაპირებდი გამოფენის მოწყობას, მაგრამ აქაც პანდემიამ შემიშალა ხელი. იმედია მალე მდგომარეობა დასტაბილურდება და მომეცემა გამოფენის მოწყობის საშუალება.

**თქვენი სამომავლო გეგმები (თუ გიცდიათ ქსოვა, ქარგვა, თექაზე მუშაობა) რომ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადოთ თქვენი შემოქმედება?**

მე სულ ვმუშაობ, რომ იტყვიან ვცდილობ „ერთ ადგილზე არ ვიდგე" და შემოქმედებითად გავიზარდო. მინდა საფუძვლიანად დავეუფლო ქსოვის სხვადასხვა სახეობას, ვამზადებ ნაქსოვ ჩანთებს. ვგეგმავ ტიხრული მინანქრის შესწავლას.

მადლობა უფალს, რომ მყავს ოჯახი, ვარ ჩემი პატარა ოჯახის დიასახლისი და მაქვს ჩემი საყვარელი საქმე.

ვფიქრობ, რომ საყვარელი საქმე აუცილებელია ქალისთვის, რათა მან სრულყოფილ პიროვნებად იგრძნოს თავი.

**მაია გერგაია**

# ახალი მიდგომები

*ცნობილია, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ბაზა არის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება.*

*საგანგებო მდგომარეობის დროს ონლაინ სწავლებამ ერთგვარი გამოწვევის წინაშე დააყენა როგორც საჯარო სკოლები, ასევე უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები.*

*ნომრის სტუმარი სასწავლო უნივერსიტეტის (სენაკის ბაზა) პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი ქალბატონი მანანა ჟანტურია გვესაუბრება ონლაინ სწავლების ცალკეულ დეტალებზე და მომავლის გეგმებზე.*



**ქალბატონო მანანა, ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის განყოფილებაში საგანგებო რეჟიმის დროს შეჩერდა თუ არა რომელიმე პროგრამა. როდის არის დაგეგმილი მათი ამოქმედება.**

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზა ახორციელებს 12 ავტორიზებულ სახელმწიფო საგანმანათლებლო პროგრამას მოდულური მიდგომით. 2020 წლის მარტში საგანგებო რეჟიმის დროს სწავლა შეჩერდა ყველა პროგრამაზე .მოგეხსენებათ, რომ პროფესიული პროგრამების 60-70% პრაქტიკული კომპონენტია და მსოფლიოში არ არსებოს პროფესიული პროგრამების დისტანციურად სწავლების პრეცენდენტი. ამჟამად ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭრით ამუშავებს დისტანციური სწავლების პლატფორმას ზოგადი მოდულების ნაწილში, გამომდინარე აქედან სავარაუდოდ ივნისის ბოლოსკენ სასწავლო პროცესი შეიძლება გაგრძელდეს.

სენაკის ბაზაზე არის სრული მზაობა საწავლო პროცესის დასაწყებად ჯანდაცვის რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც შესაძლებლობას მისცემს პროფესიულ სტუდენტს დაადასტუროს პროგრამების მოდულების პრაქტიკული კომპონენტი.

**როგორ შეძლო სასწავლებლის კოლექტივმა მოერგებოდა დისტანციურ სწავლების ფორმატს (შეიძლება სტუდენტების გარკვეულ ნაწილს ხელი არ მიუწვდებოდა ინტერნეტზე კომპიუტერზე და ა.შ.)?**

დისტანციური სწავლების დანერგვის მიზნით სასწავლებლის სტუდენტებს ჩაუტარდათ გამოკითხვა ონლაინ ფორმატში, კითხვები შეეხებოდა რამდენად აქვს სტუდენტს მზაობა ჩაერთოს დისტანციურ სწავლაში (აქვს კომპიუტერი, ინტერნეტი). მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდა ნაწილობრივ მაინც მოხერდეს დისტანციური სწავლება .

**საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ სასწავლო ბაზაში გასულ წლებში მოქმედებდა გაეროს განვითარების პროგრამები, რა ღონისძიებები ჩატარდა მისი ეგიდით განვლილ პერიოდში?**

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით დაინერგა სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამები: „ვეტერინარია" , „მებოსტნეობა", „მეფუტკრეობა"

„მებაღე დეკორატორი" „ფერმერი". გარდა ამისა მათ მიერ შეძენილ იქნა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღები. ნაწილი შესყიდვის პროცესშია.

„გენდერული თანასწორობისათვის საქართველოში" გაეროს პროექტის ფარგლებში გადამზადდა ქალი ფერმერები სოფლის მეურნეობის მიმა რთულებით შემდეგ პროფესიებზე: მეფუტკრე, ვეტერინარია, მებოსტნე, მემცენარე, მეცხოველე, მებაღე, ამ პროექტის მიზანია ქალების ჩართვა შრომით საქმიანობაში, საკუთარი უნარების განვითარება, დასაქმება და ეკონომიურად გაძლიერება.

**როდის არის დაგეგმილი ავტორიზაცია, როგორი წესით იქნება მიღება პროფესიული სწავლების გრძელვადიან პროგრამებზე?**

ავტორიზაციას უნივერსიტეტი გადის განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ამავე დროს გავდივართ პროგრამულ ავტორიზაციას, ახალი მოდულური / დუალური მიდგომით პროგრამის დასანერგად საჭიროა ავტორიზაციის გავლა,

მაგალითად, ამ ეტაპზე გავდივართ 5 მოდულური პროგრამის ავტორიზაციას ესენია:

„საბიბლიოთეკო საქმე", „ფარმაცევტი(სააფთიაქო), „ინფორმაციული ქსელები და სისტემები", „ფერმერი -მეცხოველე" და „სკოლამდელი აღზრდა"

**საერთოდ სწავლებაში რა სიახლეები და ინიციატივებია დანერგილი?**

წელს პირველად საბაზო (ცხრა კლასი) განათლების მქონე პირები შეძლებენ სწავლა გააგრძელონ სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე ავტორიზებულ ზოგადი განათლების კომპონენტებთან ინტეგრირებულ „დეკორატიული მებაღეობის" საშუალო კვალიფიკაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის დამთავრების შემდეგ აპლიკანტები მიიღებენ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან / ატესტატთან გათანაბრებულ პროფესიულ დიპლომს სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

ამასთან, ცნობილია რომ აპლიკანტთა ჩარიცხვის წესში მიმდინარეობს ცვლილებების ასახვა, რომლის საფუძველზეც შემუშავდება პირის დანესებულებაში ჩარიცხვის ახალი მიდგომები, მათ შორის ცნობილია რომ იმ პროფესიულ პროგრამებზე, რომელზეც არ დაფიქსირდება კონკურსი, აპლიკანტები ჩაირიცხებიან ეროვნული პროფესიული ტესტირების გარეშე, სასწავლო უნივერსიტეტის შიდა შერჩევის გზით.

დიდი იმედი მაქვს, რომ წლევანდელი შემოდგომა იქნება უსაფრთხო პანდემიის მხრივ. ყველა სახის სასწავლო დაწესებულება და რა თქმა უნდა მათ შორის ჩვენც შევძლებთ ვუპასუხოთ სათანადო მოთხოვნებს და ახალგაზრდებს შევუქმნით სწავლისთვის საჭირო ყველა პირობა.

**მოამზადა მ. ბაღათურიამ**

# განცხადება

პროფესიულ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაცია 2020 წლის მიღებაზე 20 მაისიდან დაიწყო და 10 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება. აპლიკანტები რეგისტრაციას სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დისტანციური მხარდაჭერით ან / და ონლაინ ვებგვერდზე – www.vet.emis.ge შეძლებენ. პროფესიული ტესტირება ჩატარდება სექტემბერში.

სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას სენაკის ბაზაზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

1. **„საექთნო საქმის"** უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მიღების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება. სწავლის ხანგრძლივობა მინიმუმ 3 წელი. გამოცხადებულია 14 ადგილი.
2. **„ბუღალტრული აღრიცხვის"** უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მიღების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება. სწავლის ხანგრძლივობა მინიმუმ 2 წელი. გამოცხადებულია 15 ადგილი.
3. **„საოფისე საქმის"** საშუალო კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მიღების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება. სწავლის ხანგრძლივობა მინიმუმ 1,5 წელი. გამოცხადებულია 20 ადგილი.
4. **„საფინანსო სერვისების"** საბაზო კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მიღების წინაპირობა საბაზო განათლება, აპლიკანტის მინიმალური ასაკი-17 წელი. სწავლის ხანგრძლივობა მინიმუმ 1,5 წელი. გამოცხადებულია 20 ადგილი.
5. **„ელექტროობის"** საბაზო კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მიღების წინაპირობა საბაზო განათლება, სწავლის ხანგრძლივობა მინიმუმ 10 თვე. გამოცხადებულია 15 ადგილი.
6. **„მებოსტნეობის"** საბაზო კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მიღების წინაპირობა საბაზო განათლება, სწავლის ხანგრძლივობა მინიმუმ 1 წელი.გამოცხადებულია 10 ადგილი.
7. **„მეფუტკრეობის"** საბაზო კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მიღების წინაპირობა საბაზო განათლება, სწავლის ხანგრძლივობა მინიმუმ 1 წელი.გამოცხადებულია 10 ადგილი.
8. **„ვეტერინარიის"** უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. მიღების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება, სწავლის ხანგრძლივობა მინიმუმ 2,5 წელი.გამოცხადებულია 15 ადგილი.

აპლიკანტებმა სურვილის შემთხვევაში უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა შემდეგ ლინკზე: https: / / docs.google.com / forms / d / 18vw-6S9nHo8fhp580qzJ-nFoqY0gbmoQM82d1THNAJs / edit

შესაძლებლობის შემთხვევაში სარეგისტრაციო ფორმის შევსების შემდეგ, პირადი დოკუმენტაცია გთხოვთ .გამოაგზავნოთ ელ.ფოსტაზე: mananasamushia@zssu.edu.ge .

- პირადობის მოწმობის ასლი
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი,
- დევნილის ან სოციალურად დაუცველის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები

არასრულწლოვანი ან სსსმ / შშმ პირების შემთხვევაში დამატებით წარმოსადგენია დაბადების მოწმობის ასლი, მშობლის ან კანონიერი წრამომადგენლის პირადობის მოწმობის ასლები.

დაიმახსოვრეთ!!!

დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე სასწავლო უნივერსიტეტში აპლიკანტთა ჩარიცხვა არ განხორციელდება !!!

**ყურადღება!!!**

სასწავლო უნივერსიტეტი 2020 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით, აპლიკანტთა რეგისტრაციის პარალელურად, გეგმავს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზეც სურვილისამებრ აპლიკანტები რეგისტრაციას განახორციელებენ 2020 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით. შესაბამისად, თვალყური მიადევნეთ ცვლილებებს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აპლიკანტთა რეგისტრაციისთვის გამოცხადებულ პროგრამებს.

აუცილებელი შექმნათ პირადი მომხარებელი და პაროლი, გაიაროთ სისტემაში ავტორიზაცია და აირჩიოთ თქვენთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა / პროგრამები. ელექტრონული რეგისტრაციის სახელმძღვანელოთ იხილეთ ბმულზე: https: / / vet.emis.ge / resource / manual-new.pdf

- რეგისტრირებულ აპლიკანტს, რეგისტრაციის დასრულებიდან რამდენიმე დღეში, გადაეცემა საგამოცდო ბარათი, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია პროფესიული ტესტირების ადგილისა და თარიღის შესახებ;
- პროფესიული ტესტირების ჩანიშვნამდე აპლიკანტებს შეუძლიათ თვალი გადაავლონ და იხელმძღვანელონ ქვემოთ მოცემული გასული წლების პროფესიული პროგრამების ტესტების ნიმუშებით. იხ.ლინკი: https: / / edu.aris.ge / news / 2015-2016-wlis-profesiuli-programebisatvis-testirebis-nimushebi.html

•პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს შესაძლებლობა აქვთ ასევე იხელმძღვანელონ გასული წლების საგამოცდო პროგრამებით. (იხ. ლინკი: https: / / edu.aris.ge / news / category / exams / vocationaltesting / vetprograms)

წელს პირველად საბაზო (ცხრა კლასი) განათლების მქონე პირები შეძლებენ სწავლა გააგრძელონ სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე ავტორიზებულ ზოგადი განათლების კომპონენტებთან ინტეგრირებულ „ დეკორატიული მებაღეობის" საშუალო კვალიფიკაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის დამთავრების შემდეგ აპლიკანტები მიიღებენ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენთტან / ატესტატთან გათანაბრებულ პროფესიულ დიპლომს სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

ამასთან, ცნობილია რომ აპლიკანტთა ჩარიცხვის წესში მიმდინარეობს ცვლილებების ასახვა, რომლის საფუძველზეც შემუშავდება პირის დანესებულებაში ჩარიცხვის ახალი მიდგომები, მათ შორის ცნობილია რომ იმ პროფესიულ პროგრამებზე, რომელზეც არ დაფიქსირდება კონკურსი, აპლიკანტები ჩაირიცხებიან ეროვნული პროფესიული ტესტირების გარეშე, სასწავლო უნივერსიტეტის შიდა შერჩევის გზით.

**შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სენაკის ბაზა) პროფესიული პროგრამების განყოფილება**

## ნოდარ ჯალაღონია-86

# ბიოგრაფიული შტრიხები

ცნობილ პოეტს და პუბლიცისტს, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს ნოდარ ჯალაღონიას 86 წელი შეუსრულდებოდა.

იგი დაიბადა 1934 წლის 16 ივნისს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში. შემდეგ ჯალაღონიების ოჯახი საცხოვრებლად სენაკში გადმოვიდა. მამა, დომენტი ჯალაღონია, სენაკის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში მუშაობდა, დედა დიასახლისი გახლდათ. ნოდარის ორი უფროსი ძმა ჰყავდა. ნოდარ ჯალაღონიამ დაამთავრა სენაკის № 1 საშუალო სკოლა. შემდეგ იგი ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 1960 წელს, ხოლო 1969 წელს მოსკოვის მაქსიმ გორკის უმაღლესი ლიტერატურული კურსები.



მუშაობდა ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკად, 1964 წელს იყო საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის კორესპონდენტი; 1969 წელს დაინიშნა საქართველოს ტელევიზიის სამეცნიერო-მეთოდური რედაქციის უფროს რედაქტორად; 1971-1974წწ. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის უფროს რედაქტორად, 1974-1993წწ.-საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების სტუდიის რედაქტორად, შემდგომ სატელევიზიო ფილმების სარედაქციო კოლეგიის წევრად, სულ ტელევიზიაში იმუშავა 30 წელი. გარდა გადაცემების რედაქტორობისა, მისი ავტორობით მომზადდა და გადაიცა ასობით სატელევიზიო ნარკვევი, რეპორტაჟი, ინტერვიუ, სიუჟეტი. არის სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი, რამდენიმე სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის რედაქტორი. 1998-2001წწ. ხარისხის მართვის თბილისის ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს ჟურნალისტიკასა და ქართულ ლიტერატურაში; ლექსების პირველი კრებული,,სიმღერების გაზაფხული" გამოსცა 1959 წელს. აღსანიშნავია მისი პუბლიცისტური მოღვაწეობა. სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი პუბლიცისტური წერილი(ნარკვევი, სტატია, რეცენზია).

მკითხველის მოწონებას იმსახურებს მისი ლექსების კრებულები: "სიმაღლე", "ხმა", "ლექსები", "ყვავილების მიწა", "კამერტონი", "გზები და დღეები", ,,თიბათვე", ,,მსაჯული დრო და წლებია", ,,ძველი კოლხური ჰანგები", ,,წლები, წლები", ,,რწმენის ორდენის კავალერი", ,,გზები და დღეები", ,,ქალი, რომელიც გიყვარს", ,,უნდა ჰგავდეს სიცოცხლეს-სამშობლოსათვის სიკვდილი" და სხვა.

მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, ოსურ ენებზე და თავადაც ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. აქტიურად თანამშრომლობდა ბეჭდურ მედიასთან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი პირველი ლექსი ჩვენს რაიონულ გაზეთში ,,ავანგარდი" (1951 წელს)დაიბეჭდა. ამის შემდეგ სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ლექსები როგორც რაიონულ ისე რესპუბლიკურ პრესაში..

ნოდარ ჯალაღონიამ დაარსა და მისივე რედაქტორობით გამოდიოდა 1996-97 წ.წ. გაზეთი ,,ლაშარის გორი".

ნოდარ ჯალაღონია იყო ქალაქ სენაკისა და ჩხოროწყუს საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მრავალი ჯილდოსა და სიგელის მფლობელი. 1979 წელს მიღებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის პრემია. იგი როგორც საქართველოს ღირსეული პოეტი და პიროვნება შეტანილია ,,ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში".

გარდაიცვალა 2018 წელს, დაკრძალულია ქ. თბილისში.

პოეტს მთელი ცხოვრების მანძილზე გვერდით ედგა და შემოქმედებით საქმიანობას უადვილებდა მეუღლე ქალბატონი მანანა შალიკიანი. ქალბატონი მანანა შალიკიანი ესათუთება მეუღლის ხსოვნას.

მისი ინიციატივით ახლახან გამოიცა ორი წიგნი ,,ქართვლის დედები" და ,,ლექსებიდან ამონარიდები" ქალბატონი მანანა გახლავთ ამ წიგნების რედაქტორ-შემდგენელი. პირველ წიგნში თავმოყრილია ქართველი ქალების გმირობისა და თავდადებისადმი მიძღვნილი ლექსები. პოეტი ასევე ხოტბას ასხამს საქართველოს თავისუფლებისა და სიმართლისათვის დაპატიმრებულ და დაღუპული ქართველი ვაჟკაცების დედებს.

მეორე წიგნში გადმოცემულია ამონარიდები ნოდარ ჯალაღონიას ლექსებიდან. წიგნის წინთქმაში პედაგოგიკის დოქტორი, ლუბა ბიბილეიშვილი წერს: ,,გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ადამიანი პოეზიის რაგინდ დიდი მოყვარული იყოს, ყველა ლექსის ის ფრაგმენტი







და ფრთიანი ფრაზა შემორჩება ხოლმე, რომელიც ამ ლექსს განსაკუთრებით ღირებულს ხდის და ამ შემოქმედებით სიტყვას ისე იყენებს, როგორც აფორიზმს. ვფიქრობთ ამონარიდები მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ნოდარ ჯალაღონიას შემოქმედებაზე".

გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქცია ჯანმრთელობას და დიდი ხნის სიცოცხლეს უსურვებს ქალბატონ მანანას!

დიდხანს იყავით მეუღლის ხსოვნის უკვდავსაყოფად და მისი შემოქმედების ხალხისთვის გასაცნობად.

---

## დედების ცრემლი

*,,იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა ტირისა,*
*წავიდე, მეც იქ მივიდე სამძიმარ ვუთხრა ჭირისა".*
*(ხალხური)*

,,იარებიან დედანი, ტირილით თვალცრემლიანნი",
ვაგლახ, რომ ჟამი დამდგარა ცუდი და ავიზნიანი.
ოდით ძმები და მოყვრები და ერთმანეთის გამტანნი,
ახლა მტრობენ და ქიშპობენ, შეცდენილები სატანის.
იქით ცრემლებად იღვრება დედა აფხაზი შვილისა,
ამბობს, ქართველის დედაიც, ვიცი ,რომ ჩემებრ ტირისა.
აქეთ ქართველიც არ ცხრება, არ ეპუება ელდასა,
-,,წავიდე, სამძიმარ ვუთხრა მოკლულ აფხაზის დედასა.
ასე ეძებენ ერთმანეთს ტირილით თვალცრემლიანნი,
მიტევება და შენდობა აროდეს არის გვიანი...
აღარ გვჭირდება გამრიგე სხვა ქვეყნისა და სხვა რჯულის,
ჩვენი დიდების ცრემლები იქნება ჩვენი მსაჯული.
და მგლოვიარე დედები ერთურთს უმზერენ ვედრებით,
ერთმანეთსა ჰგავს ცრემლები ყველა შვილმოკლულ დედების.
და მჯერა, მოვა დრო-ჟამი და ნურვინ ნუ გაიკვირვებს, --
მოკლულ ბიჭების საფლავზე ორივე ერთად იტირებს.
რაგდან ღმერთია მოწყალე და ბოლო სიტყვას ცა იღებს,
იმ სისხლსაც დედის ცრემლები გადარეცხავს და წაიღებს.
გაქრება ქიშპი და მტრობა და არასოდეს დავშრებით,
საქართველოში ისევე ძმად და მოყვრებად დავრჩებით.

**ნოდარ ჯალაღონია**
**წიგნიდან ,,ქართვლის დედები"**

---

## ქართველები

**წარწერა ტარიელ ფუტკარაძის წიგნზე - „ქართველები"**

დროს და წლების ქარიშხლებს სულ ფეხდაფეხ მოვყვებით,
აღარ გვაკლდა არასდროს არც მტრები, არც მოყვრები.
ისტორიის გზებზე და ბეწვის ხიდზეც ვაირეთ,
ანალებში ვტოვებდით ჩვენს სახელს და იარებს.
რადგან ჩვენს გაჩენაში უფლის ხელი ერია,
ვერც წლები და ვერც მტრები ვერა, ვერ მოგვერია.
ისტორიას აღვიძებს ჩვენი სისხლის წვეთები,
შემერები, მოსხები, ხალიბები, ხეთები,
კოლხები და ლაზები, იბერები, ქართები,
ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დავრჩებით.
ევროპას და აზიას ისევ მოველანდებით
ჩვენი სიგელ-გუჯრებით, ძველი ფოლიანტებით.
ჩვენი ოქროს საწმისით, ლეგენდებით, მითებით,
ქართველები ვიყავით, ქართველები ვიქნებით.
არ მოაკლებს უფალი მამულს შვილებს ერთგულებს,
შვილებს აღმაშენებლებს, შვილებს თავდადებულებს.
ჩვენი ჯიშით, ჯილაგით, რწმენითა და ფიქრებით
ქართველები ვიყავით, ქართველები ვიქნებით.
არც არასდროს გავქრებით, არც არასდროს დავშრებით,
ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დავრჩებით!

(2007)

---

## ფიქრები გალაკტიონზე

ბევრი გვირგვინი და ბევრი დაფნა
წაიღო ჟამმა და წლებმა დაფლა.
ბევრი დიდება და ძეგლთა წყება
წაიღო დრომ და დამარხეს წლებმა.
ის კი, ის არის დღეს ერთადერთი,
ქართული სიტყვის და ლექსის ღმერთი,
ვინც კვლავ მოარღვევს წლებს და უკუნეთს,
მოაქვს თავის დრო და საუკუნე.

(2007 წ. ოქტომბერი.)

# ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე" მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება" ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას.

რედაქცია გაესაუბრა მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს, რომლებიც მიუთითებენ პროგრამით სარგებლობის მნიშვნელობაზე.

**ზურაბ ბალათურია**-ნოქალაქევი- პანდემიამ და პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა მეტ-ნაკლებად ყველას შეგვიქმნა პრობლემები. განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას. ვფიქრობ, რომ ასეთ რთულ პერიოდში მთავრობის მიერ გაწეული დახმარება დროულია და ჩვენს მეურნეობას გააძლიერებს

**დევიზ დადიანი** –დადებითად ვაფასებ და მომწონს რომ სამთავრობო ანტიკრიზისული გეგმა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის დახმარებას. დღევანდელ პირობებში თუკი ვინმე რამეში დაგეხმარება, კარგია, მითუმეტეს როცა პენსიონერი ხარ და სხვა შემოსავალი არ გაქვს. ქულები, რომელიც ლიბერთი ბანკის ბარათზე დაგვერიცხა საშუალებას გვაძლევს აგრომაღაზიაში, ჩვენთვის სასურველი ნივთების, შხამ-ქიმიკატების შესაძენად გადავცვალოთ.

**ამირან ბარკალაია**- ქართველი კაცი ოდითგანვე გამოირჩეოდა მიწის სიყვარულით. სოფლის მეურნეობის განვითარება ნამდვილად იყო და იქნება ქვეყნის განვითარების პრიორიტეტი. კარგია, რომ ამ მეტად რთულ პერიოდში მთავრობამ გამონახა სახსრები და ეხმარება მოსახლეობას. მართალია საკმარისი არ არის, თუმცა ეს თანხა მნიშვნელოვნად წაადგება ჩემს საქმეს.

**ნელი ჯანჯღავა**- პანდემიამ გვაჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. რაოდენ გასახარია ის ფაქტი,რომ ამ გაჭირვების ჟამს მთავრობა გვიდგას მხარში და გვეხმარება. მადლობის მეტი რა გვეთქმის. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ა(ი) იპ. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო –საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებს ყურადღებისა და გულისხმიერი მომსახურებისათვის.

**მოამზადა**
**მ. შონიამ**

# ზაქრო (გოჩა) მამულია

52 წლის ასაკში მოულოდნელად წავიდა ამ საწუთროდან კარგი სპეციალისტი და მოქალაქე, მზრუნველი მეუღლე და მოსიყვარულე მამა, უღალატო მეგობარი ზაქრო ზალიკოს ძე მამულია.

მისმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი დაუტოვა მეგობრებს, ახლობლებს, იმ ადამიანებს, რომელთაც ყოველდღიური და საქმიანი კონტაქტები ჰქონდათ ზაქრო მამულიასთან.

დაიბადა 1967 წლის 3 სექტემბერს სოფელ ფოცხოში. ფოცხოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1992 წელს.

სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფელ ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადირად, ამავე კოლმეურნეობაში მთავარ აგრონომად, შემდგომ კოოპერატივის თავმჯდომარედ, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულად ფოცხოს თემში, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების მთავარ სპეციალისტად.

თავმდაბალი, მოზომილი იყო მეგობრებთან ურთიერთობაში. გამოირჩეოდა პასუხსიმგებლობის მაღალი გრძნობით. მტკიცედ სჯეროდა, რომ მისი საქმიანობა სჭირდებოდა საზოგადოებას, ხალხს.

კეთილსინდისიერი და კვალიფიციური საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით, მიღებული ჰქონდა არაერთი მადლობის წერილი და სიგელი.

ადამინები თავიანთი ცხოვრების წესით განიზომებიან. ზაქრო მამულიამ არცთუ გრძელი ცხოვრების მანძილზე შინაარსიანად იღვაწა.

უეცრად და უჩუმრად წავიდა. ძალიან დააკლდებათ ახლობლებს მისი გულღია, მეგობრული საუბარი, ადამიანური დამოკიდებულება, საქმიანი რჩევა. ნათელი მის სხივიან სულს.

**მეგობრები**

# მარადისობაში გადასულნი

## (ციალა ჩილაჩავას და ზაურ ჯიბლაძის ხსოვნას)

მუხლჩაუხრელად იშრომეს და იღვაწეს საფეიქრო დარგის ღვაწლმოსილმა მუშაკებმა ციალა ჩილაჩავამ და ზაურ ჯიბლაძემ.

ქალბატონი ციალა ჩილაჩავა სენაკის ხალიჩების კომბინატის ბაზაზე არსებულ №66 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მეხალიჩე მქსოველის რთულ პროფესიას აუფლებდა მოსწავლეებს. შესაშური გულისყურით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა იმ მოსწავლეებისადმი, რომლებიც მთიანი რეგიონებიდან იყვნენ ჩამოსული და იქვე სასწავლებლის საცხოვრებელში იყვნენ დაბინავებულნი. ფეიქართა ჯგუფი ხალიჩების კომბინატში გადიოდა საწარმოო პრაქტიკას. ქალბატონი ციალა გვერდიდან არ შორდებოდა პრაქტიკანტებს. მისი ყოველი დღე აღსავსე იყო უამრავი საზრუნავით, ძიებით, მიგნებით.

ბატონ ზაურ ჯიბლაძეს გამორჩეული სიტყვა ეთქმოდა ხალიჩების კომბინატში. გამოცდილი ინჟინერი ზედმიწევნით იცნობდა დაზგადანადგარების თითოეულ დეტალს. იყო არაერთი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, გამოირჩეოდა თანამშრომლებისადმი ყურადღებით და გულისხმიერებით.

ციალა ჩილაჩავა 2015 წელს ნაადრევად 59 წლის ასაკში გარდაიცვალა. ზაურ ჯიბლაძემ 2019 წელს გადაინაცვლა იმქვეყნიურ სამყაროში.

მშობლები გამუდმებით შრომობდნენ, ქმნიდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ერთადერთ შვილს მერაბ ჯიბლაძეს, რძალს შორენა ხარბედიას, შვილიშვილს გოგა ჯიბლაძეს წელგამართულად ეცხოვრათ. ნამდვილად ფასეულია ოჯახის წევრებისათვის მათ მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი რესურსი.

ამბობენ ამქვეყნიური ცხოვრება იმქვეყნიურისთვის მზადება არისო. ციალა ჩილაჩავამ და ზაურ ჯიბლაძემ ამქვეყნად შინაარსიანად იცხოვრეს, დატოვეს კვალი ნათელი და საზოგადოების კეთილსინდისიერი მსახურების უბადლო მაგალითი.

ნეტარ იყოს მათ სახელზე დანთებული ყველა სანთელი, მსუბუქი მათ გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

**ლ.ნაჭყებია, მ.ეჯიბია,**
**№ 66 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ყოფილი თანამშრომლები**

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია მწუხარებას გამოთქვამს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის

**ზაქრო მამულიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მამულიების ოჯახს, ახლობლებს ღირსეული მეუღლის, საუკეთესო მამის, ჭეშმარიტი მეგობრის და საუკეთესო სპეციალისტის

**ზაქრო მამულიას**

გარდაცვალების გამო


სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499